

პირველი რადიო

გვისმინეთ ათავს საქართველოში

Fm 106,4

რვაენი ბადასთაფაზი

Live Facebook YouTube

- ყველა სიახლე
- პოლიტიკა
- საზოგადოება
- სამართალი
- თავდასვა
- რეპორაჟი

მიგბა

არასამთავრობოების მიმართვა კულტურის სამინისტროს

დღეს, 10:10 • ამობეჭდვა

GO TOUR

YOUR TRAVEL DESTINATION

2 556 446



არასამთავრობო ორგანიზაციები კულტურის სამინისტროს მიმართავენ და სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მოუწოდებენ, განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდებზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული ბრძანებები და თანმდევი დოკუმენტები. მიმართვას ხუთი



არასამთავრობო აწერს ხელს და მიმართვაში ნათქვამია:

"2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული იქნა ბრძანებები (#03/266 და #2/271), რომლის შემდეგაც შპს **RMG-Gold**-მა საყდრისი-ყაჩაღიანში სამუშაოები განაახლა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, არც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და არც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საკუთარ ვებგვერდებზე შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაცია ამ დრომდე არ გამოუქვეყნებიათ, რაც ყველა დაინტერესებულ პირს საკითხთან დაკავშირებული სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემდა.

შესაბამისად, განცხადების ხელმომწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს კულტურისა და

"ოქრიკა" : ლაშა როგორ უნდა მომეკლა, მისი ძმის საფლავს ვუვლიდი

ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომ განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდებზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული შემდეგი ბრძანებები და თანმდევი დოკუმენტები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის **2014 წლის 12 დეკემბრის #03/266** და და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის **2014 წლის 12 დეკემბრის #2/271** ბრძანებები და ამ ბრძანებების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები (მათ შორის სამინისტროსა და სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭოს/სექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა ყველა თანმდევი დოკუმენტები, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოთ აღნიშნული ბრძანებების გამოცემას); **RMG-Gold-ის** მიერ, მიმდინარე წლის **13 დეკემბერს** საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განახლების მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული დასკვნის გაცემას დაედო საფუძვლად", - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ არასამთავრობო ორგანიზაციები: "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"; "მწვანე ალტერნატივა"; "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (**IDFI**); ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (**EMC**); "ტფილისის ჰამქარი".

2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის **№03/266** ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის **№2/271** ბრძანების საფუძველზე კომპანია "არემჯიმ" სამთო-მოპოვებითი სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის **№1** სალიცენზიო უბანზე განაახლა.

საყდრისის ტერიტორიაზე სამუშაოების განახლებას აპროტესტებს საყდრისის დაცვის კომიტეტი. მიმდინარე სამუშაოებს აპროტესტებს მოსახლეობის ნაწილიც.



ჟვანიას დაცვის უფროსი პატიმრობიდან გათავისუფლდა



სკანდალი - ინგა პავლოვა ბიძინა ივანიშვილს სასამართლოში უჩივის (ვიდეო)